ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1993
ხუთშაბათი
27
მაისი
№21 (10612)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ—პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## უნდა ავაშენოთ დიდი საქართველო

26 მაისი გამორჩეული დღეა სრულიად საქართველოსათვის. ამ თარიღის ხსენებისას ყოველი ქართველი თვალნათლივ წარმოიდგენს 1918 წლის 26 მაისს, რომელმაც ენით უთქმელი სიხარულით და ეროვნული ღირსების განცდით აღავსო მთელი ქართველობა, ასე დანატრებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ძველი ფირებიც გადმოგვცემს იმჟამინდელ საერთო სახალხო ეიფორიას, ზღვარდაუდებ ალტაცებასა და ჟრუანტელს, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია. მაგრამ ჩვენდა სავალალოდ იმ ხანად ვერ მოხერხდა თავისუფლების იდეის ბოლომდე გაცნობიერება, ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზება და უდიდესი ისტორიული მონაპოვარი —ქართული დემოკრატიული რესპუბლიკა ხელიდან იქნა გაშვებული.

რაღა თქმა უნდა, შინაგან ფაქტორებთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხებაში გადამწყვეტი სიტყვა თქვა ბოლშევიკურმა რუსეთმა. სწორედ მათ მიერ გამოგზავნილ წითელ არმიას შემოუძღვნენ თბილისში ქართველი ერის მოღალატენი, შინა გამცემნი სერგო ორჯონიკიძის წინამძღოლობით

და აი, შვიდი ათეული წლის მერე ისევ გაუჩნდა ქართველ ერს ისტორიული შანსი უსისხლოდ, დემოკრატიული არჩევნების გზით დაემარცხებინა კომუნისტური რეჟიმი საქართველოში და გამოეცხადებინა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაბადება. ეს იყო უდიდესი გამარჯვება ჭეშმარიტი ეროვნული ძალებისა, რომელთაც 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებით სათავე დაუდეს ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის დიად პროცესს. იყო ყოველნაირი წინამძღვრები იმისა, რომ მტკიცედ, შეუპოვრად, ნაბიჯ—ნაბიჯ გვეშენებინა ქართული ეკონომიკა, ქართული კულტურა, ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი მექანიზმები. და ბოლოს ქართული, ეროვნული პოლიტიკა, რისი შემწეობითაც უნდა აღდგენილიყო ერში მთვლემარე სულიერი, თუ მატერიალური რესურსები, ეროვნული თვითშეგნება ჭეშმარიტი ქართული ზნეობა და ღირსების კოდექსი. მაგრამ ვაი, რომ ისევ იჩინა თავი დამონებული ერის ფსიქიკაში დალექილმა მანკიერებამ: შურმა და გაუტანლობამ, აღვირახსნილმა ამბიციურობამ და პატივმოყვარეობამ, თავკერძობამ და გათიშულობამ. კვლავ დაუპირისპირდა ჯანსაღ ნაციონალურ იდეებს ყბადაღებული კოსმოპოლიტიზმი და ეროვნული ნიჰილიზმი. პრივილეგიების მოყვარულმა ვაიპოლიტიკოსებმა საკუთარი ამბიციების სამსხვერპლოზე მიიტანეს ეროვნული ერთიანობის და ჭეშმარიტი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა. 1991 წლის დეკემბრის ტრაგიკული მოვლენებით მრავალნატანჯი საქართველოს ისტორიაში კვლავ. დაფიქსირდა ავბედითი პერიოდი: ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და სახელმწიფოს მართვის სადავეებთან ფაქტიურად პროკომუნისტური ძალების მოსვლისა. რა მოიმკო ჩვენმა განაწამებმა ხალხმა ამ არაკანონიერი, არა ცივილიზებული გზით მოვლინებული მთავრობის შემწეობით, ყველასათვის ნათელია. სრული ეკონომიკური და სულიერი პარტახი, დაუსჯელობისა და განუკითხაობის შემაძრწუნებელი ვითარება, რომ არაფერი ვთქვათ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის უმძიმეს ხვედრზე.

26 მაისზე ფიქრისას მართებულია ერთხელ კიდევ გაიაზროს თითოეულმა ქართველმა სამშობლოს მომავალი პერსპექტივა, ის ჭეშმარიტი გზა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ნამდვილ თავისუფლებამდე.

ეს გზა კი არის დიდი ილიას, კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას, ექვთიმე თაყაიშვილის გზა, მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას გზა. ამ ღირსეულ ერისკაცებს არაერთგზის დაურწმუნებიათ საკუთარი ხალხი, რომ ისტორიულ ქარტეხილებთან ჭიდილში ქართველობა მხოლოდ თავის თავის მოიმედე უნდა იყოს. დღეს კი მავანნი ცდილობენ ისევ ქვეშევრდომული, მონური ცნობიერების ტყვეობაში ჩატოვონ ქართველი კაცი და ფარხმალი დააყრევინონ ჩრდილოეთის მონსტრთან—რუსულ იმპერიულ ამბიციებთან ბრძოლაში. ყოველნაირად ცდილობენ დანერგონ ქვეყანაში რუსეთის გარეშე „ვერ გაძლების“ საშიში სინდრომი.

არა, ამ გზით ქართველ ხალხს არ სურს სიარული, ეს საკმაოდ ნაცადი გზაა, რამაც ბევრი უბედურება მოგვიტანა. ჩვენ ვერც დასავლეთის სუპერსახელმწიფოების ქვეშევრდომობა გვსურს. ნებისმიერ ქვეყანასთან თანასწორუფლებიანობის პრინციპზე აგებული კულტურული, თუ ეკონომიკური პარტნიორობა—აი, ეს უნდა იყოს ჩვენი რეალური ორიენტირი.

ქართველი ხალხი კვლავაც შეუდრეკლად იბრძოლებს ეროვნული თავისთავადობის, ეროვნული ტრადიციების, ქართული ცხოვრების წესის აღორძინება—დამკვიდრებისათვის. ამასთან წუთითაც არ გაემიჯნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების ჭეშმარიტ ფასეულობებს.

ჩვენს ხალხს კვლავაც მოუწევს ერთიანი ძალისხმევით ბრძოლა ფეხქვეშ გათელილი სამართლიანობის, კანონიერების აღდგენისათვის. მან ისევ უნდა მოიპოვოს ნამდვილი, ჭეშმარიტი, ქართული სახელმწიფოებრიობა, რომელშიაც მოწმენი ვიქნებით ალმშენებლურ—ქყონდიდლური სულიერების ზეობისა.

ჩვენ უნდა ავაშენოთ ის დიდი საქართველო, რომელიც არა მხოლოდ ქართველურ ტომებს შეკრავს და შეადუღაბებს ერთიანი ეროვნული ცნობიერებით, არამედ გახდება მედროშე იბერიულ—კავკასიური ერთობისა, თარგამოსის შთამომავალ ხალხებს გვაკავშირებს არა მხოლო ისტორიული, გეოგრაფიული, არამედ კულტურული, ეთნიკური, სულიერი ძირები და ჩვენ ამ ერთობას, როგორც ნებისმიერი უცხოეთის ექსპანსიებისაგან თავდაცვის გარანტს, უცილობლად მივაღწევთ.

დგება ჟამი, როცა ლეგენდარული თარგამოსის ვაჟებივით უნდა შეიკრან კავკასიის ხალხები და შეერთებული ძალით დაამარცხონ ჩვენი საუკუნის ნებროთი —რუსული იმპერიის ბატონობა.

## მერაბ კოსტავას ხსოვნას

### სიმაღლეების უტეხელის ნებით მძლეველი...

განგებამ ასე ინება: ჭეშმარიტი მამულიშვილის, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას მოვლინება ამქვეყნად დაამთხვია დამოუკიდებელი საქართველოს დაბადების დღეს 26 მაისს. ამ მშვენიერ სიმბოლიკაშიც გაიაზრება ის მოწამებრივი გზა, რომელიც ამ სისხლით და სულით მეამბოხე რაინდმა გაიარა ქართველთა ღირსების ასაღორძინებლად.

მერაბ კოსტავა ყოველი ქართველის ცნობიერებაში აღიბეჭდება, როგორც უსამართლობის სატანურ ძალებთან მარად მორკინალი ვაჟკაცი, რომლის ქედუხრელ ქმედებას და სულიერ ბორგვას თვით ზენა ძალები განაგებდნენ.

ბატონი მერაბი გახლდათ მაგალითი იმისა, თუ რაოდენი სულერი სიმტკიცე და უტეხი ნება უნდა გაგაჩნდეს თავისუფლებისათვის ანთებულ მამულიშვილს, რომ უდრტვინველად გადაიტანო ამდენი ტანჯვა, შეურაცხყოფა, ადამის შთამომავალთა ვერაგობა და სიმუხთლე, უმადურობა და სიბილწე.

მერაბ კოსტავასთვის სამშობლო იყო ის წმიდათაწმიდა სალოცავი, რაც სასწაულებრივი სულიერი ენერგიით და უდრეკი რწმენით აღავსებდა მის არსებას. მასში ფეთქავდა ცოტნესეული გენი, რომლის წინაშე უკან იხევს ყოველგვარი სიძნელე, თუ სულმდაბლობა და გზა ეხსნება ჭეშმარიტი ერისკაცის სულში დაუნჯებულ კოლოსალურ ენერგიას, რომელსაც მამულისათვის უყოყმანო თავგანწირვისათვის მზაობა ქვია.

ვიგონებთ მერაბ კოსტავას და ყურში ახლაც ჩაგვესმის ტრიბუნაზე შემდგარი ღმერთკაცის მქუხარე ხმა. ის იყო ჭეშმარიტი წინამძღოლი პატრიოტული სულისკვეთებით აღძრული ქართველობისა, რომელმაც ერთდასამუდამოდ უთხრა უარი საბჭოურ სულისშემხუთველ რეჟიმს. მისი სახელი იქცა იმ სიწმინდისა და სისუფთავის სიმბოლოდ, რითაც უნდა განასრულოს ბოლომდე თავისი უზენაესი მისია ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ.

იგი მუდამ დარჩება ჩვენში, როგორც ქართველი კაცის სინდისისა და პატიოსნების განსახიერება, როგორც საქართველოს თავისუფლებისათვის დამაშვრალი მეციხოვნე,

მისი ლამაზი სული ზეციური საქართველოდანაც გვამხნევებს ავბედობის უღელში გაბმულ ქართველებს. და გვაახლოებს საქართველოს ჭეშმარიტი გადარჩენა—აღორძინების დღეს.

მერაბ კოსტავა

### დიდგორი

ვით მღვრიე ტალღები—შეიხნი, ხოჯები,
ვამპირულ ცოფით და სატანურ ლოჯებით,
აღიძვრნენ, უძღოდათ მზერათა მზარავი
არაბულ ტაიჭით მქროლავი არავი.
დუშმანს გაეგება დავით თოროსანი—
მესიის ელვა და ედემის სოსანი
და ბოცომკალივით მომდგარი საჰარას
მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წახარა.
გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები,
გველს და ბასილისკოს დასხო ტერფები,
ბაღდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები,
იდიდოს მადლი და კურთხევა განგების.
აქეთ იყალთოელ, იქით გელათითა,
მაცხოვარ მან შენი სახელი ადიდა,
ალსავლის კარიდან ასტყორცნა არწივი,
ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ ბარძიმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დიდი იუბილის ექო

## მივყვეთ დიდოსტატის გზას

ადამიანის გაჩენის დღიდან იდგა სიმართლის ძიების პრობლემა. ამ ურთულეს თემას, რაღა თქმა უნდა, გვერდი ვერც უბადლო მწერალმა, ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამ აუარა. დავაკვირდეთ მის გმირებს: ბოროტისა და კეთილის დაპირისპირების მარად გადაუწყვეტელ **პარადიგმაზე ფიქრობენ და ბორგავენ** თარაშ ემხვარი, კონსტანტინე არსაკიძე, კონსტანტინე სევარსამიძე გიორგი ჭყონდიდელი, მახარა და ა. შ. პიროვნება გამსახურდიას გააზრებით იმდენად არის საინტერესო და ღირებული, რამდენადაც ის სამართლიანობის პრობლემისადმი იჩენს აქტიურ, თუ ინდეფერენტიულ დამოკიდებულებას.

ბატონი კონსტანტინე გენიალური წვდომით სვამს თავის „დიდოსტატის მარჯვენაში“ ღმერთთან მეტოქეობის პრობლემას და გვარწმუნებს, რომ ადამიანი ცხოვრებისეულ ქარტეხილებთან ჭიდილში მხოლოდ თავისთავის მოიმედე უნდა იყოს: ასეთივე მოსაზრებას გვთავაზობს იგი ერისადმი მიმართებაშიც. დღეს კი მავანი პოლიტიკოსნი ცდილობენ ისევ ნაცნობი მონური ფსიქოლოგიის სინდრომის ტყვეობაში ყოფნა ურჩიონ საკუთარ ხალხს. დღემდე გრძელდება იმ აზრის მუსირება, რომ დიდი რუსეთის მფარველობის გარეშე საქართველო ვერ იპოვის კრიზისიდან ხსნის გზას და ა. შ.

საინტერესოა ბატონი კონსტანტინეს შეხედულებების მსგავსება ილია ჭავჭავაძესთან თუნდაც ისტორიაში უბრალო ადამიანების როლის გააზრების თვალსაზრისით. ყველას გვახსოვს, თუ რა სიყვარულით ხატავს ილია პეპიას, ლელთ ღუნიას, გიორგის და სხვა პორტრეტებს. მდაბიო, ალალმართალ ხალხს თვლიდა იგი საქართველოს ისტორიის მთავარ უსახელო გმირად. ის ქართველი ერის გადარჩენის გარანტიას სწორედ განსაკუთრებული გვირისტით ნაქსოვ გლეხკაცობაში ხედავდა.

აი, რას ბრძანებდა თავისი ერთერთ ადრინდელ ესსეში დიდოსტატი კონსტანტინე: „ახალი საქართველო გლეხურ, პლებეურ საწყისზე უნდა აღორძინდეს. ის მითიური ფენიქსია და ამიტომ ხორცი ახლად უნდა შეისხას. სწორედ მშრომელი მასების წიაღიდან მოედინება განახლებული, აქტიური, ძლიერი ენერგია“.

და რაოდენ გულსატკენია, რომ დღევანდელი ეგრეთწოდებული ელიტარული ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი, პოლიტიკური ამბიციებით აღძრული, ამ მშრომელ მასას ბნელს, გაუნათლებელს, სუნიანს უწოდებს. მკრეხელობაა ასეთი ქილიკი ტარიელ გოლუას, ბათა ქექიას, კაც ზვამბაიას, ალმასგირ კიბულანის და სხვათა ჩამომავლებზე. ჩვენი უბედურება იმ წუთიდან დაიწყო, როცა მავანმა საპიროდ ჩათვალა ზემოდან ეცქირა ქვეყნის მარჩენალი გლეხკაცობისთვის.

ამდაგვარი განწყობილება სიძულვილისა და გაუცხოების ავბედით პროცესს კიდევ უფრო აღრმავებს. ამიტომ ერთიანი ძალისხმევით ამას წერტილი უნდა დავუსვათ. ჩვენ ერთმანეთს მტკიცედ უნდა ჩავჭიდოთ ხელი და შემოვაკრათ კავკასიის ურთიერთნდობის, სიყვარულის შინაგანი სიმტკიცის ის ცოცხალი ჯაჭვი, რომლის გარღვევას ვერცერთი ექსპანსია ვერ მოახერხებს.

დიდი მამულიშვილებიც ხომ ამისკენ მოგვიწოდებენ.

თ. აკობია.

### კონსტანტინეობა აბაშაში

## ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი

აბაშა უწმინდესი ადგილია საქართველოსი. აქ, მდინარე ზანის პირას დაირწა აკვანი ქართული მხატვრული სიტყვის ჯადოქრის, უბადლო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გამსახურდიასი.

და აი, 22 მაისს აბაშისკენ დაიძრა სრულიად საქართველო, რათა ერთხელ კიდევ მიეგო პატივი დიდი მწერლისათვის, ეგრძნო მისი შემოქმედების ენითუთქმელი ხიბლი, წარმოსახვაში გაბაასებოდა მის მიერ გაცოცხლებულ უკვდავ პერსონაჟებს.

დიდოსტატის სახლმუზეუმის ეზოში წარმოდგენილ იქნა თეატრალური კომპოზიცია, რამაც აღაფრთოვანა საზოგადოება. შემდეგ გაიმართა მიტინგი, სადაც გულთბილი, შთამბეჭდავი სიტყვები წარმოთქვეს ბატონი კონსტანტინეს ნიჭის თაყვანისმცემლებმა, ერის ჭეშმარიტმა შვილებმა. ათეულ ათასობით ადამიანი ოვაციით ხვდებოდა ბატონების: ელიზბარ ჯაველიძის, სოსო სიგუას, ენვერ ნიჟარაძის, ზაურ ქობალიას, ვალერი გაბელიას და სხვათა გამოსვლებს,

ამ დიდ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდელთა დელეგაციამ, რომელთა შორის იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ახალგაზრდობა, ყველა ისინი, ვინც ჭეშმარიტ, ეროვნულ მოძრაობას მიაპყრობს მზერას და ქვეყნის სულიერი აღორძინების გზას მასში ხედავს,

კონსტანტინეობა ჭეშმარიტად სახალხო ზეიმად იქცა.

### მოსაზრება

## ვიფიქროთ სულის საზრდოზეც

შეიძლება ვინმემ თქვას, რა დროს თეატრსა და კინოზე წერაა, როცა ამდენი ყოფითი სატკივარი ერთბაშად მოგვეძალა, მაგრამ მართალი არ იქნება ამის მთქმელი.

დღეს, როდესაც ასე გვთრგუნავს ქვეყნის ჭირ—ვარამი, გვერდით ომია, ხალხს სჭირდება განწმენდა, სულის საზრდო, ერთობა, ეს რომ რეალობად იქცეს, აუცილებელია სწორი, გონივრული განსჯა, დაფიქრებული ქმედება. სხვაგვარად გამარჯვება შეუძლებელია.

საქართველოს მომავლისათვის ზრუნვის უნარი ვერ ექნება ქართველს, თუ მას შეუძლია დაუფიქრებლად გაწიროს თავისი თვისტომი, შებილწოს მამაპაპის საძვალენი და სხვადასხვა მიზეზებით მხოლოდ „ავტომატებს“ მიანდოს თავისი ბედი.

ყოველივე, რაც ასე უჭირს ქვეყანას, გაბედულად, შთამბეჭდავად უნდა გვითხრას დღეს ლიტერატურამ, მუსიკამ, მხატვრობამ, თეატრმა, კინომ...

დიდია თეატრის როლი იმ დიდ საქმეში, ერის სულიერი ამაღლება რომ ჰქვია. ეს პროცესი ჩვენთან დღესდღეობით შეწყვეტილია, როგორც მრავალი სხვა რამ.

ამ გაურკვევლობისა და დაბნეულობის ჟამს როგორმე უნდა იფუნქციონიროს თეატრმა, კინომ, ბიბლიოთეკამ. ძნელი იქნება ერთი ხელისდაკვრით ფეხი ავუწყოთ ამ გაუსაძლის ყოფას, მაგრამ მიმაჩნია, რომ სცენაზე უნდა გამოტანილ იქნას ყოველივე ის, რაც რეალურად ხდება. ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა დღეს ძირითადად ქუჩაშია. ისინი ფაქტიურად სულიერი საზრდოს გარეშე დარჩნენ.

დროა, სიკეთით, რწმენით, იმედით ავავსოთ მათი სული.

მ. ქოჩუა,
პედაგოგი

## როგორ ვმარაგდებით წყლით?

—ქალაქი ზუგდიდი სასმელი წყლით ძირითადად მარაგდება რეჩხო—ცხირის, რუხის და ოლორის წყალსადენებიდან. დღეის მდგომარეობით რეჩხო — ცხირის წყალსადენი გაჩერებულია იმის გამო, რომ გასულ წელს ელექტრო ძაბვების ხშირმა ვარდნებმა მწყობრიდან გამოიყვანა 800 კილოვატიანი სიმძლავრის ძრავები. ჩვენს მიერ სასწრაფოდ იქნა მიღებული ზომები მათ შესაძენად. ქალაქ სმოლენსკში შეძენილი ძრავები ამჟამად „გაყინულია“ სოჭში და უგზობის გამო ვერ ხერხდება მისი გადმოტანა დანიშნულების ადგილზე,—უთხრა ჟურნალისტ თამაზ როგავას, ზუგდიდის წყალკანალის სამმართველოს უფროსმა, გივი კილასონიამ.

— ჩვენმა სამმართველომ რუხისა და ოლორის წყალსადენების მაქსიმალური დატვირთვით შესძლო ქალაქის მოსახლეობის 60 პროცენტის დაკმაყოფილება სასმელი წყლით, ხოლო კომუნალური საცხოვრებელ ბინები მთლიანად მარაგდება ლოკალური ჭაბურღილებიდან მოწოდებულ წყლით. ყველაზე მწვავე პრობლემად მაინც რჩება ფინანსური საკითხი. აი, წარმოიდგინეთ თქვენ, მარტო ელექტრო ენერგიის ღირებულება ერთ თვეში შეადგენს 12 მილიონ მანეთს, მთლიანი საექსპლოატაციო ხარჯები 17 მილიონს უტოლდება. წყალკანალის სამმართველოს შემოსავალმა ოთხ თვეში მიაღწია მარტოდ მარტო სამ მილიონ მანეთს. ეს მონაცემები მნიშვნელოვან წილად აფერხებს საექსპლოატაციო სამუშაოებს, სწორედ ასეთი მდგომარეობის გამო ვერ ვიძენთ საწვავს, სათადარიგო ნაწილებს. რაც გარკვეულად აფერხებს მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების შესრულებას. ყველაზე მეტად გვაწუხებს ის გარემოება, რომ მომსახურე პერსონალს პერიოდულად ვერ ვაძლევთ ხელფასებს. უფრო მეტიც, ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი აინუნშიც არ აგდებს სააბონემენტო ღირებულების გადახდას. თუ ისინი გაგებით არ მოეკიდებიან ამ წინადადებას წყალკანალის სამმართველოს ერთიორად გაუჭირდება სარემონტო — საექსპლოატაციო სამსახურის შემდგომი გაგრძელება.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ამ დღეებში ჩვენი სამმართველოს სპეციალური ჯგუფი გაემგზავრა ქალაქ სოჭში აღნიშნული ძრავის ჩამოსატანად, შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ უახლოეს მომავალში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკმაყოფილებული იქნება სასმელი წყლით.

### ვმტრობთ საკუთარ თავს?

## გავუფრთხილდეთ ენერგოსისტემას

სამწუხაროდ, ბოლო დროს რესპუბლიკაში გახშირდა ენერგოსისტემის ობიექტებზე შეიარაღებულ უცხო პირთა თავდასხმები ფერადი ლითონების დატაცების მიზნით, არის ელექტროგადამცემი ხაზების, მაღალი ძაბვის ელექტროანძების დივერსიულ აფეთქებათა ფაქტები, რომლებმაც მეტად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს ელექტროსადგურებისა და ქსელების ტექნიკურ მდგომარეობაზე და მის მდგრადობაზე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დიდი სიძნელეები შეიქმნა საქართველოს ისედაც შეჭირვებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა სასიცოცხლო ობიექტების ენერგიით მომარაგების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ მარტო შარშან აღნიშნული მიზეზებით მიყენებულმა ზარალმა დაახლოებით 2 მილიარდი მანეთი შეადგინა. გაიძარცვა და მწყობრიდან იქნა გამოყვანილი 1000 კილომეტრამდე სიგრძის მაღალი ძაბვის ელგადამცემი ხაზები. დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზების და მოწყობილობების აღდგენაზე მთლიანად დაიხარჯა ენერგოსისტემაში არსებული სარეზერვო მასალები.

ასეთი რთული ვითარებიდან ერთ—ერთი უმთავრესი გამოსავალი ის არის, რომ მაქსიმალურად გაძლიერდეს ენერგეტიკული ობიექტების დაცვა ხელმყოფთაგან, მკაცრად და საჯაროდ მოეკითხოს პასუხი ყველა დამნაშავეს, გავუფრთხილდეთ და თითოეულმა გავისიგრძეგანოთ უარყოფითი შედეგები, რომელიც ენერგოსისტემის მოშლას მოჰყვება.,,

დეპარტამენტი „საქენერგო“ ოფიციალურად იუწყება, რომ ვინაიდან „საქენერგომ“ მთლიანად ამოწურა სათადარიგო მასალები, მოწყობილობები და არ გააჩნია ფინანსური საშუალებები, იმ რაიონს, სადაც მოხდება ენერგოდანადგარების დაზიანება—გაძარცვის შემთხვევები, მთლიანად შეუწყდება ელექტრომომარაგება, ხოლო მოწყობილობების აღდგენა უნდა განხორციელდეს ასევე მხოლოდ რაიონის ძალებით და სახსრებით.

### ქველმოქმედება

## მოგიწოდებთ, მეგობრებო!

ცხოვრების პირობები გაუარესდა, ძალიან ბევრს უჭირს, ყველას უჭირს, მაგრამ განსაკუთრებით—ინვალიდს, პენსიონერს, მრავალშვილიან ოჯახს.

სასურსათო პროდუქტები მაღაზიებში არ არის, ბაზრის **ფასები უზომოდ და შეუჩერებლივ** მაღლა იწევს, ფულის კურსი განუწყვეტლივ ეცემა.

ქალაქ ზუგდიდში შექმნილია სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის—ინვალიდთა ასოციაცია. მისი უმთავრესი დანიშნულებაა მატერიალურად დაეხმაროს ინვალიდებს, გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს. ასოციაციის სახსრები შედგება კეთილი ნების ადამიანებისა და ორგანიზაციების ფულადი შემოწირულებისაგან.

ხელი გავუწოდოთ და დავეხმაროთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს, ამას ხომ ჩვენი ქრისტიანული დოკუმენტის; სახარების ძვირფასი სტრიქონები გვასწავლის, რამეთუ ახალ აღთქმაში წერია: „ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეიწყალებულ იქნებიან“ (მათე 5—

მივმართავ და მოვუწოდებ წარმოებათა და კომერციულ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, კოოპერატორებს და სხვა ორგანიზაციებს თავიანთი მოგებიდან გაიღონ მცირედი მოწყალება და ჩაურიცხონ ინვალიდთა ზუგდიდის ასოციაციას;

კეთილი ნების ადამიანებისა და თქვენს მიერ გაღებულ მოწყალებას პრესა ამცნობს საზოგადოებას, ხოლო მოწყალების—მიმღებნი გულით დაგლოცავენ.—

მამანტი პაჭკორია.

**ასოციაციის ანგარიშია 7000[illegible] ზუგდიდის აგრომრეწვბანკში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მწვანე გზა — ფერმერულ მეურნეობას!

# გაჭიანურებული რეფორმა და... პრობლემები

ფერმერული მეურნეობა — კერძო სასოფლო-სამეურნეო საწარმოა, რომელიც პროდუქციას აწარმოებს საკუთარ, ან იჯარით აღებულ მიწაზე და მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

განვითარებული კაპიტალიზმის ისტორიამ არ იცის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტი. პირიქით, პრობლემას ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის გასაღება წარმოადგენს, რაც ძირითადში ფერმერულ მეურნეობათა ფუნქციონირებითაა განპირობებული.

თანამედროვე ფერმერი— ეს არის სოფლის მშრომელი, რომელიც რამდენიმე პროფესიასაა დაუფლებული, ინტენსიურად იყენებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, უნარი შესწევს სრულად დამოუკიდებლად და გონივრულად გაუძღვეს თავის მეურნეობას. ფაქტიურად იგი მექანიზატორიცაა, ელექტრიკოსიც, მთიბავიც, გარკვეული აზრით ვეტერანიც და რაც მთავარია, ზედმიწევნით დისციპლინირებული, მაღალორგანიზებული მწარმოებელი.

ახლა, როდესაც რაიონის სოფლის მეურნეობა, როგორც მთლიანად რესპუბლიკისა, გზის გასაყართან დგას, სადინარი ესხნება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და საკუთრების ახალ ფორმებს.

სპეციალისტებს მიგვაჩნია, რომ ფერმერულმა მეურნეობამ ამ სისტემაში ღირსეული, პირველხარისხოვანი ადგილი უნდა დაიმკვიდროს.

არ შეიძლება ერთმანეთში ავურიოთ დამხმარე გლეხური მეურნეობა და ფერმერული მეურნეობა. ფერმერულს გამოკვეთილი და სრულყოფილი სახე აქვს.

ჩვენი პირობებისათვის ფერმერულ მეურნეობათა განვითარება რთული, ძნელი, კომპლექსურად გადასაწყვეტი საქმეა. ამ საქმეს მარტო კეთილი სურვილი ვერ უშველის.

დღესდღეობით საქართველოს შემოაქვს სასურსათო პროდუქტების 70 პროცენტზე მეტი, ამას კი ჩვენი ეკონომიკა ველარ გაუძლებს. საჭირო და აუცილებელია სახნავი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემა.

დღეს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული გლეხური (კომლური) მეურნეობის შემოღება წინ გადადგმული ნაბიჯია. იჯარა წინაპირობაა სრული რეფორმისა.

ყოველ ახალდაწყებულ საქმეს თან ახლავს პრობლემები, მაგრამ გვჯერა, რომ რეფორმის კურსი ჰპოვებს სრულ განვითარებას და გლეხი გაითავისებს მას.

გ. არახამია,
აგრონომი.

## ურთიერთ თანადგომით განვამტკიცოთ ეკონომიკა

—ამ საკითხს მიეძღვნა ზონალური თათბირი, რომელიც გაიმართა ჩაის №1 ფაბრიკაში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ და თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს ჩაის მწარმოებელ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა.

სადღეისოდ, რაიონში სეზონის წინ არსებულ საერთო მდგომარეობაზე შეკრებილთ მოახსენა აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსმა, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ჭითანავამ. აღინიშნა, რომ ჩაის ქვეშ საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებას თან ახლდა რიგი სიძნელეები. წარუმატებლობაა სასუქების შეტანის, ჩაის ქვეშ ნიადაგის დამუშავების საქმეში. ჩაის პლანტაციების გასხვლა კი ჩატარებულია 6000 ჰექტარზე.

ყველა გამომსვლელის, მათ შორის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსის მოადგილის თ. ცირამუას, კორცხელის, ჭითაწყარის, დიდინეძის, კოლხიდის, ოდიშის საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების შ. გაბედავას, ო. ცაავას, რ. კუკავას, ფ. კვარაცხელიას, ზ. ახალაიას, ფაბრიკების დირექტორების: გ. ჭითანავას, გ. გოგოხიას, ზ. დარასელიას ნ. ნადარეიშვილის და სხვათა სატკივარი საერთო იყო. სეზონის ორგანიზებულად ჩატარებას ხელს უშლის ტრანსპორტირების პრობლემა, კერძოდ საწვავის დეფიციტი, სოფლის მშრომელთა მომარაგება სურსათით, მეჩაიეთა შრომის ანაზღაურების საკითხის მოგვარება და სხვა.

# იწყება სეზონი, როგორ ვხვდებით მას?

გამგეობის თავმჯდომარემ ო. ფაცაციამ ყურადღება გაამახვილა რიგ უმწვავეს საკითხებზე, მათ შორის იმის აუცილებლობაზე, რომ ქართული ჩაი უნდა გაუტოლდეს სახელმწიფო სტანდარტებს და გახდეს კონკურენტუნარიანი. შეპირდა დამსწრეებს, რომ სოფლის მეურნეობის სამსახურებს გადაეცემათ დიზელის საწვავი. უნდა დასრულდეს ხელშეკრულებათა გაფორმება. ის რეალობა, რომ ოჯახებში იმართება ჩაის გადამუშავების მიკრო-საამქროები, თათბირის დამსწრეებმა მიიღეს, როგორც ყოვლად დაუშვებელი, რადგან ჩაის ტექნოლოგიის დაუცველობას შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები. გამოიყო კომისია საკითხის შესასწავლად.

ზონალური თათბირის მონაწილეებმა აღუთქვეს ერთმანეთს დახმარება. დასახეს ღონისძიებები ჩაის კრეფისა და გადამუშავების კონვეიერის ნორმალურად წარმართვისათვის.

# ვპირდებით ხელმომწერთ

ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, ქაოსმა, არნახულმა ინფლაციამ მძიმე დღეში ჩააგდო „საქპრესის" ზუგდიდის განყოფილებაც. უამრავი თავსატეხი გაუჩნდა დატარება-გავრცელების საამქროს. გვესაუბრება ამ საამქროს უფროსი შუშანა ფუტკარაძე:

—1993 წლის პირველ ნახევარში 1400 ხელმომწერი გვყავს. სავალალო ციფრია, ისეთი ქალაქისათვის, როგორიც ზუგდიდია. ასეთი რამ არ გვახსოვს. ამას აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. ათასგვარი ყოფითი პრობლემით დამძიმებულ ხალხს უჭირს ძვირადღირებული ჟურნალ-გაზეთების შეძენა. მარტო სიძვირეც არ არის. სიმართლე უნდა ითქვას, რომ 1991-92 წლებში ხელმომწერთ კუთვნილი პრესა ფაქტიურად არ მიუღიათ. უსაწვავოდ დარჩენილებს თვეში ერთხელ ძლივს ან საერთოდ ვერ შემოგვქონდა სენაკიდან ჟურნალ-გაზეთები. სენაკში კიდევ ჩვენი პრესის ვაგონი იძარცვებოდა. მოგეხსენებათ, რა განუკითხაობა იყო და არის. დღემდე ვერ გადაწყდა ამ ვაგონის ქალაქში შემოყვანა. ამიტომაც სამართლიანია მოსახლეობის გულისწყრომა. თუ რეგულარულად ვერ მიიღებ პრესას, ვერც დატარება-გავრცელების საქმეს მოაგვარებ. ეს რაც შეეხება წინა წლებს, რა მდგომარეობაა ამჟამად? კავშირგაბმულობის რაიონულმა კვანძმა გამოგვიყო მანქანა, რომელიც მიდის სენაკში და შეუფერხებლად გვაწვდის ჩვენს კუთვნილ პრესას. ხელმომწერნიც დაგვეთანხმებიან, რომ იანვრიდან არ დაჰკლებიათ ერთი ნომერიც. ოღონდ ეგაა, რომ თითონ ისინი გვაკითხავენ და მიაქვთ. იყო დრო, როცა ზუგდიდს 20-25 ფოსტალიონი ემსახურებოდა. დღეს ჩვენ სამეურნეო ანგარიშზე ვართ და მხოლოდ 2 ფოსტალიონის შენარჩუნება შევძელით. მაგრამ ვერც იმ 2 ფოსტალიონს მოვთხოვთ, იარონ მთელი დღე ხან ერთ, ხან მეორე ქუჩაზე. შეუძლებელია დამტარებელი ერთ ქუჩაზე ერთი ხელმომწერის გულისთვის გავიდეს და მაინც ჩვენ მათი იმედით ვცოცხლობთ, ისე ვართ ერთმანეთზე დამოკიდებული. თუ ხელმომწერი გვეყოლება, ფოსტალიონსაც დამატებით დავნიშნავთ. სირთულეებს ხელმომწერთა სიმცირე გვიქმნის. ახლა წლის მეორე ნახევრისათვის მიმდინარეობს ხელმოწერა, მაგრამ ძალიან ნელა. მე კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით (თქვენმა გაზეთმა არაერთხელ მოგვაქცია ყურადღება) და დავარწმუნო ყველა ზუგდიდელი, რომ გამოწერილ ჟურნალ-გაზეთებს უკლებლივ მიიღებს. მინდა ხელმოწერის უკანასკნელი დღეც შევახსენოთ—15 ივნისი.

ჩაიწერა მ. ეხვაია.

## 1 ივნისი — ბავშვთა დაცვის დღე

# ღმერთო ნუ მოშლი...

ვარდი და დარდი ერთად მოიტანა გაზაფხულმა. ვერ მოვიტყუებთ თავს სილაღით, მაგრამ ბავშვთა ჟრიამული ფანტავს ღრუბელს და ელოდება მოწმენდილ ცაზე ციცინათელას ამობრწყინებას.

სულ ახლოს ომია. ლტოლვილი ბავშვი ბევრია ქალაქად და რაიონში. ენატრებათ მშობლიური კუთხე პატარებს, ენატრებათ მეზობლის ბავშვები, იქ დარჩენილი ძიძები. ძიძებსაც ესიზმრებათ ალბათ თავიანთი გაზრდილები: როგორ არიანო ნეტავ...

ახალაბასთუმნის საბავშვო ბაღში ლტოლვილი ბავშვები თავს ლაღად გრძნობენ. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ზეიმზე ისინი ყურადღების ცენტრში იყვნენ. არ დაკლებიათ საჩუქრები. ასე იქნება სხვა ბაღებშიც, სადაც დროებით იმყოფებიან: სალომე, თათია, ნათია და სხვები.

ბავშვთა დაცვის დღეს, ამ ტრაგიკულ დროს შეწირული აფხაზი და ქართველი ბავშვების საფლავებთან თავი უნდა დავხაროთ ყველამ და ფიცი დავდოთ: ძირს იარაღი, ძირს ომის გამჩაღებლები.

ბავშვი ერის მომავალია, ღირს მათთვის ყველა სატკივარის უჩუმრად ატანა...

ღმერთო ნუ მოშლი ამ ქვეყნად ბავშვთა სიცილს...

ზ. ანდრიაძე.

# ბლიც-ინტერვიუ ლალი ექიმთან

—რამდენადაც ვიცი, თქვენ ხშირად იცვლით ბინას.

—გვაწიოკებდნენ, გვარბევდნენ. რა გაეწყობოდა. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ავდექით და პირდაპირ აქ, ზიგ, შუაგულ მილიციაში გადმოვსახლდით.

—საიმედო ადგილი შეგირჩევიათ.

—ნამდვილად ამ მხრივ ამოვისუნთქეთ. თუ მაინც დაგვესხმიან თავს, აგერ მილიცია ბატონო. სამედიცინო დახმარება თუ დასჭირდათ მილიციონერებს —აგერ ჩვენ.

—მოკლედ, არასაუწყებო დაცვის პრობლემა მოხსნილია. ერთმანეთს იცავთ. სხვა სატკივარს და გასაჭირს თუ დაად გა საშველი.

—ნუ იკითხავთ. ჩვენი სადგური დღეს ფაქტიურად უმოქმედოა. ერთი წელია, არ გვემსახურება ავტომანქანა. ეს უტრანსპორტობა უამრავ თავსატეხს გვიჩენს. მოვა ვილაც. სადღაც ქუჩაში შეუძლოდ გახდაო ადამიანი,— გვეტყვის და გავრბივართ ფეხით, მივყვებით ამ ამბის მომტანს. ზოგჯერ საკმაოდ მძიმე წონის აპარატურის გადატანაც გვიხდება.

მარტში თხოვნით მივმართეთ ქალაქის საკრებულოს, როგორმე დაგვხმარებოდა. თითქოს გვეშველა. ერთი თვე გამოჩნდა მანქანა, მერე გაქრა. რა ვქნათ, კიდევ ერთი თვე რომ შევავლოთ მას თვალი წერილი წერილზე, თხოვნა თხოვნაზე უნდა გავაგზავნოთ? დღეში ბევრი გამოძახებაა. მოსახლეობა კი გვსაყვედურობს— გულგრილობას, არაგულისხმიერებას გვწამებს. გაგვემტყუნება? ჩვენც ხალხი ვართ.

—გამოძახება ახსენეთ. ტელეფონი თუ გწყალობთ?

—ტელეფონიც არ გვწყალობს დიდად. ხან მუშაობს, ხან არა. არც მედიკამენტების საქმეა სახარბიელო. რომელი ერთი გითხრათ. ასეთია ჩვენი ყოფა. ზოგჯერ ავტომატიანები დაადგებიან ღამის მორიგეებს: არიქა, მოგვეშველეთ, ვიღუპებითო...

გულწრფელი იყო ბლიც-ინტერნატი ქალაქის სასწრაფო დახმარების სადგურის მთავარი ექიმი ლალი ქირია. ყველაზე სასიცოცხლო და აუცილებელი, რაც მასთან საუბარში გამოიკვეთა და რის გარეშეც უბრალოდ უნაყოფოა მათი შრომა, ტრანსპორტის საკითხია. ზუგდიდის სანსპეც დანიშნულების ავტობაზასაც (უფროსი ნ. კიტია), რომლის უშუალო კომპეტენციაში შედის მისი მოგვარება, მოუზღვავდა პრობლემები, მაგრამ სიცოცხლის ხსნაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე დიდი საზრუნავი არ შეიძლება რამე იყოს. სადგურის მედპერსონალს დიდი პრეტენზიები არა აქვს, არ წუწუნებენ. ისინი მინიმუმს მოითხოვენ მხოლოდ— ერთ ავტომანქანას.

მარინე ჯოჯუა.

## გამოვიდა „ჭყონდიდელის" მეორე ნომერი

ბატონ ზვიად გამსახურდიას წერილით: დიდი ეროვნული თარიღი იხსნება გაზეთ „ჭყონდიდის"" ... მეორე ნომერი. მასში გაანალიზებულია ყველა ის სიძნელე, რომლებიც კრიზისულ მდგომარეობას ქმნის დღევანდელ საქართველოში. მხილებულია ფაქტობრივი ხელისუფლების კაპიტულანტური პოლიტიკა, რომელთაც სურთ და ახორციელებენ კიდეც საქართველოს კვლავ იმპერიაში დაბრუნებას.

გაზეთი ბეჭდავს სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის" პირველი კონფერენციის მასალებს. მათ შორის ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეების, ერის სახელოვანი შვილების: მუხრან მაჭავარიანის და ელიზბარ ჯაველიძის სიტყვებს.

„რწმენითა და სიყვარულით" — ასეა დასათაურებული წერილი, რომლითაც ბატონი ბესარიონ გუგუშვილი გულთბილად ულოცავს თავის თანამემამულეებს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს — 26 მაისს.

მკითხველი უდაოდ ინტერესით გაეცნობა გონელი არახამიას და ზაალ ქორთუას მამხილებელ პუბლიკაციას გაზეთ „ტორონტოს" გამო. მასალის მთელი პათოსი გამჟღავნებულია ამ მცირე პასაჟშიც, რომლითაც ავტორები ამთავრებენ სტატიას: სამეგრელოს მოსახლეობამ თქვენი გაზეთი მიიღო პოლიტიკური თვალსაზრისით როგორც პროვოკაცია, ესთეტიკური თვალსაზრისით — როგორც უგემოვნების ნიმუში. ამიტომ მას სამეგრელოში მკითხველი არ ეყოლება. ისე კი, გირჩევთ, აიღოთ ხელი ამ ვერაგ საქმეზე და აჯობებს შეწყვიტოთ თქვენი უბადრუკი გაზეთის გამოცემა".

გაზეთს ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციათა „მრგვალი მაგიდის" გამსვლელი სხდომის მასალებისათვის.

შინაარსით, ფაქტობრივი მასალების სიუხვით გამოირჩევა სერგო საჯაიას წერილი სათაურით — „ვინ ააშენა როკის გვირაბი აფხაზეთში", აქვე დაბეჭდილია იპოლიტე გამსახურდიას, ზურაბ ცხონდიას, ტიტე მოსიას, ანზორ გვარამიას, ირინე ტალიაშვილის და სხვათა საინტერესო წერილები. ავტორისთვის ჩვეული ემოციურობა და მხატვრული სინატიფე იკითხება ლამზირა ფირცხელავას ლექსებში: „მამულისადმი" და „აპრილი".

„ბრალს ვდებ დღევანდელ ხელისუფლებას" — ასე ქვია გენერალ გია ქარყარაშვილის „ალსარებას", რომელიც ფაქტიურად მის მიერ 1992 წლის დეკემბრის ბოლოს მიცემული ინვერვიუ გახლავთ. მასში ავტორი ამხელს ფაქტობრივი ხელისუფლების დანაშაულებრივ პოლიტიკას აფხაზეთში. მოყავს არაგულწრფელობის, ცბიერების, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ელემენტარული პრინციპების იგნორირების მაგალითები. ნიშანდობლივი ის არის, რომ აღნიშნული პუბლიკაციით მკაფიოდ იხატება პორტრეტი 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სისხლიანი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების უშუალო მონაწილის, „სენაკის, ფოთის, ზუგდიდის აღების", გაგენერალებული კაცისა, რომელიც დღეს თავდაცვის მინისტრი გახლავთ.

მკითხველი ინტერესით გაეცნობა ბატონ ლოთი ქობალიას ინტერვიუს იგი თავის სათქმელს შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „რაშლენაც არ უნდა ეცადონ უკანონო ხელისუფლება და მისი წარმომადგენლები, ჩემი მრწამსს და მიზანს ვერ შემაცვლევინებენ. ჩემი მიზანი კი საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა":::

აქტუალური პრობლემა

## არის შ ეპირება

ზუგდიდის მოსახლეობას ორ თვეზე მეტია არ მიეწოდება როგორც ბუნებრივი, ასევე თხევადი გაზი, რომლის სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზად არ ჩაითვლება ტრესტ „ზუგდიდგაზის" დირექცია.

როგორც ტრესტ „ზუგდიდგაზის" მმართველმა ლ. ჭანიამ განაცხადა: დირექცია თავის მხრივ ყოველმხრივ მზადაა მოსახლეობას შეუფერხებლად მიაწოდოს ორივე სახის გაზი. რესპუბლიკის გაზის დეპარტამენტის შეპირებით თვის ბოლომდე მოსალოდნელია გაზით მოსახლეობის მომარაგების საკითხის მოგვარება.

ჯერჯერობით, მოსაწოდებელი გაზის ფასები დაუდგენელია. იგი დამოკიდებულია მომწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობებზე.

საღღეისოდ გაზი, ისიც შეზღუდული რაოდენობით მიეწოდება მხოლოდ თბილისს.

ავაცილოთ ქალაქს ანტისანიტარია

## ღამის სახლში შემოიჭრას... ნაგავი

გადამეტებაში ნუ ჩამოგვართმევთ — სწორედ ამ საშიშროების რეალური საფრთხე დგანან ჩვენი თანაქალაქელები. არ უნდა ამას ცა და დედამიწის შეჯერება, ყველამ მოვკიდოთ ცოცხს ხელი და გავასუფთაოთ საწარმოს, დაწესებულების თუ ოჯახის მიმდებარე ტერიტორია.

ნაგავსაყრელები, რომლის გატანა სათანადო სამსახურებს ევალებათ, სავსეა ქაღალდებით, საჭმლის ნარჩენებით. ხომ არ აჯობებდა დიასახლისებო, გადაგერჩიათ იგი დაგეწვათ ქაღალდები, საკვების ნარჩენები კი გამოგეყენებიათ ფრინველისათვის...

ნუ გვიწყენთ რჩევისათვის.

ნაგავსაყრელადაა ქცეული №1 ჩაის ფაბრიკის წინამდებარე ტროტუარი. აქ მოუტანიათ ყველაფერი... რაც ნამდვილად არ ეკადრება იქვე მცხოვრებ მოქალაქეებს.

კოსტავას ქუჩა №5-ში (ბავშვთა პოლიკლინიკის ეზოში) დგას ბუნკერები პირთამდე სავსე, საიდანაც ... სუნი ამოდის, რომ ფანჯრის გაღება არ შეუძლიათ ზემო სართულებზე მცხოვრებ მოქალაქეებს. თქვენ წარმოიდგინეთ რა დღეში იქნებიან ამ ეზოს ბავშვები. არ შეიხედება გამსახურდიას ქუჩა №4-ში (კალიგრაფიული წყვეტილობის ეზო), სადაც ირგვლივ მცხოვრებლები არ ერიდებიან არაფერს და დაწესებულების ეზოში შეაქვთ და შეაქვთ ნაგავი, რაც ქმნის სრულ ანტისანიტარიას.

მოუვლელია მოზრდილთა პოლიკლინიკის მიმდებარე საზოგადოებრივი საპირფარეშო. ბუნკერები ჩაფლულია ნაგავში... საღღეისოდ, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში შედარებით ნორმალური მდგომარეობაა, მაგრამ რაიკოოპერატივის მიმდებარე სკვერი სრულიად მიუხედავია.

ვერ გაივლი, ან უფრო სწორად, არ შეიხედება ბაზრის მიმდებარე „ბაზარში" (სანაპიროზე), სადაც „ზუგდიდვაჭრობისა" და კერძო პირების ჯიხურების წინ ჩაჩოქილი თუ, ფეხმორთხმული (თათრულად) გამყიდველები ვაჭრობენ. და შემდეგ კი ტოვებენ ნარჩენებს, ნაგავს...

ერთი გავლით ნანახიდანაც შეიძლება დავასკვნათ: საჭიროა, დავასუფთაოთ ეზოები, სკვერები, თორემ ღამის სახლში შემოიჭრას... თუთა კი არა ნაგავი..,

გამოსათხოვარი

## გიორგი ნოდია

კოლეგის სიკვდილმა გული გვატკინა გაზეთ „ოდიშის" კოლექტივს. მან ხომ თითქმის საუკუნის მეოთხედი გაატარა ჩვენს გვერდით. საერთო ჭერქვეშ, როგორც რესპუბლიკური გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა. გვაგონდება მისი პროფესიული ხელწერა, როგორც კვალიფიციური ჟურნალისტისა, რომელსაც ეხერხებოდა მოვლენების სწორად ახსნა, შეხედულებათა გონივრული შეჯერება, პრობლემის დამაჯერებელი ტონით გაშუქება. ბუნებით კეთილშნიანს და თავმდაბალს, იმავდროულად ძალუძდა ყოფილიყო პრინციპული ამა თუ იმ საჭირბოროტო თემის დამუშავებისას. ახალგაზრდა კოლეგებისთვის სამაგალითო გახლდათ ბატონი გიორგის კეთილხინდისიერი მიდგომა და გულმოდგინება ნებისმიერი სარედაქციო დავალების შესრულების სფეროში. იმ წლების თანმდევი, შემბოჭავი კონიუნქტურული ფაქტორების პირობებში იგი მაქსიმალურად ახერხებდა ყოფილიყო ობიექტურობის, საკუთარი მრწამსის ერთგული.

ბატონო გიორგი, თქვენი მოქალაქეობრივი წესიერებისა და გულთბილობის გამო დიდხანს ემახსოვრებით ზუგდიდელებს. იმ ქალაქის მკვიდრთ, რომელთათვის სიკეთის გარდა, სხვა არაფერი გსურდათ. მარად მოგიგონებთ ჩვენც, შენს გვერდით წლობით ნამუშაკევი „ოდიშის" თანამშრომლები.

გაზეთ „ოდიშის" კოლექტივი.

ხსოვნა

## ლუიზა თოლორაია

მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, თავმდაბალი, კეთილი, უშურეტენში სრულიად ახალგაზრდა... თან გაიყოლა ნათელი, რომელსაც მასთან ურთიერთობა სჭირდება. სხვისი დარდი და სიხარული მისთვის არასოდეს ყოფილა სხვისი, გულის გულში გაიტარებდა ყოველივეს, მათმა წუთებში ხელს შეგაშველებდა, სიხარულს გაიზიარებდა, ეს უკანასკნელი უფრო იშვიათად სწვევდათ ადამიანებს...

იგი მაისის თვეში დაიბადა. სამი წლის წინათ მაისშივე განიშორა წუთისოფელს, ვერ მოესწრო შინლისფერი დროშების ფრიალს, ვერ ეზიარა საქვეყნო ტკივილსა და სიხარულს, ვერ დაუბადა სამშობლოს შვილები, ვერ დაუტოვა ნუგეშად ახლობლებს...

მაისმა ოცდაათს გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე... მას შემდეგ ვარდობისთვეს ჩუმი ტკივილი შემოაქვს გულში, სევდა, რომელსაც მისი სახელი ჰქვია.

მეგობრები

1993 წლის 5 ივნისს

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის თეატრის შენობაში გაიმართება სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის" ზუგდიდის ორგანიზაციის პირველი კონფერენცია.

დასაწყისი 11 საათზე.

ჯგუფ „ჭყონდიდელის" ზუგდიდის ორგანიზაციის სათათბირო.

---

მეუღლე გულნაზი, სიძე ზურაბ შენგელაია, შვილიშვილები: ლაშა, ლანა შენგელაიები, და სამა, სიძე ვარლამ ბაკუა იუწყებიან

**ნიკოლოზ კირილეს ძე ჩაჩიბაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 მაისს. დაკრძალვა კვირას, 30 მაისს. გამოსვენება ი. ქ. კ. ჯანაშიას 10.

---

მეუღლე ზინა, შვილები: სვეტა, ... შვილიშვილები: ლევანი, დანიელი, დები: ციბა, ვერა, ჟენია, ცოლისძმა ბიქტორი, ბიძაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, ცოლისძმისშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ლეო აქსენტის ძე შენგელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 მაისს. დაკრძალვა 1 ივნისს, გამოსვენება ჭყონდიდელის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა №33-დან.

---

დედა ნანული მამა ანზორი, დები ნათელა, მზია. დეიდა ლუდმილა ჯალაღონია. სიძე გოჩა მოსია. ბიძები: კოტე კორკელია. პეტია, გურამი ქირიები. ბიცოლები დინარა კუკავა. ნინელი ფარცვანია. დისშვილი თამთა. დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მერაბი (გოჩი) ანზორის ძე ქირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28 მაისს, დაკრძალვა 29 მაისს, ზუგდიდში; გამოსვენება რუსთაველის ქ. 15-დან.

---

დედა ოლია, მეუღლე ციალა, შვილები ჯემალი, თენგიზი, ბადრი, შვილიშვილები: გიორგი, ნათია, ... ირაკლი. ნინო, დები ... ბუცა, ძმა იგორი, რძლები ... იზოლდა ჩარგაზია, ... გეგეჭკორი, ციცო როგავა, ელისო ფარცვანია, ... სიძე მიშა ლემონჯავა, ცოლისძმა ალიოშა შეროზია, დისშვილები: ანზორი, ზაური, ... წურწუმიები, დემური, ... ირინა, ნანი ლემონჯავები, ძმისშვილები მანანა, მაია, ილო, ნანა, თემური ჯლარკავები, ბიძაშვილები: სულიკო, გივი ჯლარკავები, მიმოზა, ზაირა, მზია ... დეიდაშვილები: ... ჯეჯეიები, შურა ... ზოია ქეცბაიები, ... ნათელა და ნოდარი ... ლიანა და გურამი ... გული და მირიანი ... ახლო ნათესავებით იუწყებიან

**გიორგი (ჟორა) ილარიონის ძე ჯლარკავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29 მაისს, დაკრძალვა 30 მაისს 17 საათზე, ქ. ზუგდიდი, ჩიჩუას № 4.

---

გაზეთ „ოდიშის" რედაქციისა და ზუგდიდის სტამბის მუშაკები იუწყებიან დამსახურებული ჟურნალისტის

**გიორგი (ჟორა) ნესტორის ძე ნოდიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გასვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება

**პეტრე აპოლონის ძე ხვიტიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სარედაქციო კოლეგია

მეუღლე მავრა, შვილები: გონელი; მზია; როზა; ნინელი; დები მაღული; შურა; ძმა სანდრო. სიძეები ანზორი ხასაია. გაბრიელი ჯგუნჯგია, შვილიშვილები: ზაზა, მეგი, ჯაბა. ახლო ნათესავები იუწყებიან

**დურუ სამსონის ძე ნაჭყებიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27 მაისს სოფელ დარჩელში.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-88-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

... ზუგდიდის ... დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-22-87, ტირაჟი 700, შეკ. №447